

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №002

2019 წლის 30 ივლისი

ქ. თბილისი

საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ზედმეტად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების, მე-9 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 აგვისტოს №421 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და საპენსიო სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს 2019 წლის 3 ივნისის №4 სხდომის ოქმის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1.

დამტკიცდეს საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ზედმეტად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის შესახებ თანდართული ინსტრუქცია.

მუხლი 2.

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ საპენსიო სააგენტოს დირექტორი

ლევან სურგულაძე

ინსტრუქცია

საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ზედმეტად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის შესახებ

მუხლი 1. ინსტრუქციის რეგულირების და მოქმედების სფერო

1. ინსტრუქცია განსაზღვრავს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) შესაბამისად დაგროვებით საპენსიო სქემაში სავალდებულო და ნებაყოფლობით გაწევრიანებასთან და საპენსიო შენატანების (შემდგომში – საპენსიო შენატანი) განხორციელებასთან დაკავშირებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ დამტკიცებულ წესებს, ინფორმაციის წარდგენის ფორმებს, ზედმეტად ან/და არასწორად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის წესებსა და პროცედურებს.
2. ინსტრუქცია ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებზე, მონაწილეებზე, დასაქმებულებზე, დასაქმებულებზე და თვითდასაქმებულებზე, ასევე, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურზე საპენსიო შენატანების განხორციელების ნაწილში.
3. (ამოღებულია - 25.12.2023, №010).
4. დაგროვებით საპენსიო სქემაში სავალდებულო წესით მონაწილეობს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ყველა დასაქმებული, რომელსაც კანონის ამოქმედების თარიღამდე (2018 წლის 6 აგვისტო) არ შესრულებია 40 ან მეტი წელი.
5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ყველა დასაქმებული, რომელსაც კანონის ამოქმედების თარიღისთვის (2018 წლის 6 აგვისტო) შეუსრულდა 40 ან მეტი წელი, ავტომატურად გაწევრიანდება დაგროვებით საპენსიო სქემაში ამ ინსტრუქციის შესაბამისად, 2019 წლის 1 იანვრიდან ნებისმიერ პერიოდში გამომუშავებული ხელფასის პირველივე ჩარიცხვის საფუძველზე შესაბამისი საპენსიო შენატანის განხორციელებისთანავე, დაგროვებითი საპენსიო სქემიდან ამ ინსტრუქციით განსაზღვრული წესით გასვლის უფლებით.
6. თუ დასაქმებულზე 2019 წლის 1 იანვრამდე გაცემული იყო ავანსი, მაშინ ასეთი დასაქმებული დაგროვებით საპენსიო სქემაში ავტომატურად გაწევრიანდება ავანსად გაცემული თანხის სრულად გამომუშავების თარიღისთვის, რომელიც უნდა იყოს 2018 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ან 2019 წლის 31 იანვარს, რომელიც უფრო ადრე დადგება. ეს პუნქტი არ ვრცელდება ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ ფიზიკურ პირებზე.
7. (ამოღებულია - 25.12.2023, №010).
8. (ამოღებულია - 25.12.2023, №010).
9. დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით მონაწილეობს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი თვითდასაქმებული.
10. დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით მონაწილეობენ დასაქმებულები, რომელთაც კანონის ამოქმედების თარიღამდე (2018 წლის 6 აგვისტო) შეუსრულდათ 60 წელი

– მამაკაცების შემთხვევაში და 55 წელი – ქალბატონების შემთხვევაში. ამ პუნქტით განსაზღვრული პირები ავტომატურად არ წევრიანდებიან დაგროვებით საპენსიო სქემაში.

11. დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით გაწევრიანების მსურველი დასაქმებული ვალდებულია აღნიშნულის შესახებ წერილობითი ფორმით მიმართოს მის დამსაქმებელს. ამასთან, დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით გაწევრების შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს მის ყველა დამსაქმებელს. დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით გაწევრებული მონაწილის სახელით და მის სასარგებლოდ საპენსიო შენატანის განხორციელება სავალდებულოა დასაქმებულის მიერ ყოველი ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის ნაწილში ან თვითდასაქმებულის შემოსავლის ნაწილში.

12. ინსტრუქცია ვრცელდება მხოლოდ 2019 წლის 1 იანვრიდან გამომდინარეულ ხელფასზე და შემოსავალზე, საიდანაც გამოითვლება და გადახდას/განხორციელებას ექვემდებარება საპენსიო შენატანები. 2019 წლის 1 იანვრამდე გამომდინარეულ ხელფასიდან ან/და შემოსავალიდან, მიუხედავად მათი გადახდის თარიღისა, არ გამოითვლება და გადახდას / განხორციელებას არ ექვემდებარება საპენსიო შენატანები.

13. ის დამსაქმებლები, რომელთა სახელფასო ხარჯი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო ხელფასების გადახდა ხორციელდება სახაზინო სამსახურის მეშვეობით, საპენსიო დეკლარაციის წარდგენას და საპენსიო შენატანების გადახდას ახორციელებენ წინამდებარე ინსტრუქციით განსაზღვრული განსხვავებული წესით.

14. სააგენტო უფლებამოსილია თავის საქმიანობაში გამოიყენოს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა – საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა (შემდგომში – საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა ან ელექტრონული სისტემა). დასაქმებულის საპენსიო გვერდზე ან დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის ელექტრონული გვერდზე სააგენტოს მიერ განთავსებულ ნებისმიერ ინფორმაციას /ელექტრონულ დოკუმენტს, შეტყობინებას ან მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალური ფორმით შედგენილ, ხელმოწერილ დოკუმენტს. დასაქმებულის საპენსიო გვერდზე ან დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის ელექტრონულ გვერდზე სააგენტოს მიერ განთავსებული ნებისმიერი და ყველა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, წერილი თუ შეტყობინება ჩაითვლება აღნიშნული გვერდის მფლობელი დასაქმებულის, მონაწილის ან დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის მიერ ოფიციალურად გაცნობილად, ასეთი შეტყობინების, წერილისა თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისი გვერდის მფლობელის მიერ გაცნობის ან შესაბამის გვერდზე განთავსების თარიღიდან მეშვიდე კალენდარულ დღეს, რომელიც უფრო ადრე დადგება.

15. სააგენტო უფლებამოსილია თავის საქმიანობაში გამოიყენოს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა – საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა (შემდგომში – საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა ან ელექტრონული სისტემა). დასაქმებულის საპენსიო გვერდზე ან დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის ელექტრონული გვერდზე სააგენტოს მიერ განთავსებულ ნებისმიერ ინფორმაციას, შეტყობინებას ან მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალური ფორმით შედგენილ, ხელმოწერილ დოკუმენტს. დასაქმებულის საპენსიო გვერდზე ან დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის

ელექტრონულ გვერდზე სააგენტოს მიერ განთავსებული ნებისმიერი და ყველა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, წერილი თუ შეტყობინება ჩაითვლება აღნიშნული გვერდის მფლობელი დასაქმებულის, მონაწილის ან დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის მიერ ოფიციალურად გაცნობილად, ასეთი შეტყობინების, წერილისა თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისი გვერდის მფლობელის მიერ გაცნობის ან შესაბამის გვერდზე განთავსების თარიღიდან მეშვიდე კალენდარულ დღეს, რომელიც უფრო ადრე დადგება.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №002/02 - ვებგვერდი, 23.03.2021წ.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 6 ივლისის ბრძანება №005 - ვებგვერდი, 07.07.2023წ.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №010 - ვებგვერდი, 28.12.2023წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული, ტერმინებს, რომლებიც გამოყენებულია ამ ინსტრუქციაში და განმარტებულია კანონით, ენიჭება კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

2. ამ ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

ა) საპენსიო დეკლარაცია – საპენსიო სააგენტოს მიერ შემუშავებული საანგარიშგებო ფორმა, რომელიც ივსება დამსაქმებლის, ან არასტანდარტული დასაქმებულის ან თვითდასაქმებულის მიერ ელექტრონულად და რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს შესაბამისი საპენსიო შენატანების გადახდა /განხორციელება. საპენსიო დეკლარაცია შეიძლება იყოს მარტივი ან დეტალური. თუ ინსტრუქციაში გამოყენებულია ტერმინი „საპენსიო დეკლარაცია“, დამატებითი მითითების გარეშე, იგულისხმება ორივე ტიპის საპენსიო დეკლარაცია;

ბ) მარტივი საპენსიო დეკლარაცია – საპენსიო დეკლარაცია, რომელშიც ასახულია დასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის ხელფასი ან თვითდასაქმებულის შემოსავალი, ისე როგორც ეს განმარტებულია კანონით;

გ) დეტალური საპენსიო დეკლარაცია – საპენსიო დეკლარაცია, რომელშიც ასახულია დასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის კანონით განმარტებული ხელფასის კომპონენტები ან თვითდასაქმებულის შემოსავალი, ისე როგორც ეს განმარტებულია კანონით, ასევე, საშემოსავლო გადასახადის ოდენობა, ხელზე გასაცემი თანხის ოდენობა და ხელზე გასაცემი თანხიდან დაკავებული თანხის ოდენობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ) საპენსიო დეკლარაციის დრაფტი – საპენსიო დეკლარაცია, რომელიც წარმოადგენს სამუშაო ვერსიას და ექვემდებარება რედაქტირებას;

ე) ღია საპენსიო დეკლარაცია – საპენსიო დეკლარაცია, რომელიც ატვირთულია საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში და ექვემდებარება დახურვას იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებლის ან თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის საბალანსო თანხა ტოლია ან აღემატება საპენსიო დეკლარაციაში ასახული ჯამური საპენსიო შენატანის თანხას. ღია საპენსიო დეკლარაცია შესაძლოა დაკორექტირდეს ნებისმიერ დროს, მის დახურვამდე;

ვ) დახურული საპენსიო დეკლარაცია – ღია საპენსიო დეკლარაციის დახურვის შედეგად მიღებული საპენსიო დეკლარაცია. ღია საპენსიო დეკლარაციის დახურვა გულისხმობს

დამსაქმებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის ან თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის მიერ საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში შესაბამის გვერდზე დახურვის ღილაკის დაჭერას, რაც გამოიწვევს ღია საპენსიო დეკლარაციის დახურვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებლის ან თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის საბალანსო თანხა ტოლია ან აღემატება საპენსიო დეკლარაციაში ასახული ჯამური საპენსიო შენატანის თანხას;

ვ¹) მაკორექტირებელი დეკლარაცია - სააგენტოსათვის წარდგენილი საპენსიო დეკლარაციის და მასში გათვალისწინებული საპენსიო შენატანების კორექტირების (შემცირების) მიზნით, დამსაქმებლის / თვითდასაქმებულის მიერ ამ ინსტრუქციის შესაბამისად მომზადებული და წარდგენილი დეკლარაცია;

ზ) საბალანსო თანხა – დამსაქმებლის, არასტანდარტული დასაქმებულის, თვითდასაქმებულის ან მათი სახელით მესამე პირის მიერ საპენსიო სააგენტოს ანგარიშზე გადარიცხული ან ჩარიცხული თანხა, რომლის დანიშნულებაა საპენსიო დეკლარაციაში ასახული დამსაქმებლისა და დასაქმებულის ჯამური საპენსიო შენატანის ან თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების შესრულება და რომელიც ავტომატურად აისახება საპენსიო დეკლარაციების ადმინისტრირების ელექტრონულ გვერდზე, გარდა ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საბალანსო თანხა არ წარმოადგენს საპენსიო ფონდის ნაწილს, მონაწილეთა საპენსიო აქტივს;

თ) ვებგვერდი – საპენსიო სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი, რომელიც განთავსებულია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე – www.pensions.ge;

ი) კანონი – საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“;

კ) ინსტრუქცია – წინამდებარე ინსტრუქცია და მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება;

ლ) დამატებითი წესები – საპენსიო სააგენტოს მიერ შემუშავებული განმარტებები და მითითებები, რომლებიც განთავსებულია საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში;

მ) უფლებამოსილი წარმომადგენელი – დამსაქმებლის წარმომადგენელი, რომელიც უფლებამოსილია წარადგინოს საპენსიო დეკლარაცია ან/და განახორციელოს საპენსიო შენატანები და ავტორიზებულია ისარგებლოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სისტემით, რომელიც განთავსებულია მისამართზე – www.rs.ge;

ნ) სახელმწიფო დამსაქმებელი – ნებისმიერი დამსაქმებელი, რომლის სახელფასო ხარჯი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო ხელფასის გადახდა ხორციელდება სახაზინო სამსახურის მეშვეობით. თუ კონტექსტი სხვაგვარად არ წარმოაჩენს ან გამოორიცხავს, ნებისმიერი მითითება დამსაქმებელზე გულისხმობს ისეთ დამსაქმებელს, რომელიც არ არის სახელმწიფო დამსაქმებელი;

ო) (ამოღებულია - 25.12.2023, №010);

პ) დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის ელექტრონული გვერდი – ელექტრონულ სისტემაში თითოეული დამსაქმებლისთვის/თვითდასაქმებულისათვის/არასტანდარტული დასაქმებულისათვის შექმნილი ელექტრონული გვერდი, სამუშაო სივრცე, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი დამსაქმებელი/თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის ამ ინსტრუქციის

შესაბამისად ახდენს საპენსიო დეკლარაციების, მაკორექტირებელი დეკლარაციის მომზადებას და წარდგენას და რომელსაც დამსაქმებელი/თვითდასაქმებული/არასტანდარტული დასაქმებული იყენებს საპენსიო სააგენტოსაგან ინფორმაციის მიღებისა და საპენსიო სააგენტოსთან კომუნიკაციის მიზნებისათვის;

ქ) დასაქმებულის საპენსიო გვერდი - ელექტრონულ სისტემაში დასაქმებულებისათვის შექმნილი სამუშაო სივრცე, რომლიდანაც დასაქმებულებს ეძლევათ შესაძლებლობა შევიდნენ თავიანთ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშებზე და რომელსაც დასაქმებული იყენებს საპენსიო სააგენტოსაგან ინფორმაციის მიღებისა და საპენსიო სააგენტოსთან კომუნიკაციის მიზნებისათვის.

რ) უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო – საპენსიო სააგენტოსათვის სამართლებრივი დახმარების ან მომსახურების გამწვევი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც უფლებამოსილია იმოქმედოს ამ ინსტრუქციის შესაბამისად. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს არსებობის შემთხვევაში, მის შესახებ ინფორმაცია (სახელწოდება, მისამართი) გამოქვეყნებული იქნება საპენსიო სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე;

ს) უფლებამოსილი თანამშრომელი – საპენსიო სააგენტოს ან უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომელი, ვინც ახორციელებს ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას;

ტ) არასტანდარტული დასაქმებული – კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასაქმებული;

უ) არასტანდარტული დასაქმებულის საპენსიო შენატანი - დამსაქმებლის და დასაქმებულის საპენსიო შენატანის ჯამი, რომელიც შეადგენს არასტანდარტული დასაქმებულის დასაბეგრი ხელფასის 4 (ოთხი) პროცენტს, კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №002/02 - ვებგვერდი, 23.03.2021წ.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 17 თებერვლის ბრძანება №002 - ვებგვერდი, 21.02.2023წ.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 6 ივლისის ბრძანება №005 - ვებგვერდი, 07.07.2023წ.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №010 - ვებგვერდი, 28.12.2023წ.

მუხლი 3. დამსაქმებლის რეგისტრაცია

1. დამსაქმებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში, რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდიდან.

2. სახელმწიფო დამსაქმებელი არ გადის რეგისტრაციას საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში, რადგანაც საპენსიო შენატანების განხორციელებას და დასაქმებულების შესახებ საპენსიო სააგენტოში ინფორმაციის წარდგენას ახორციელებს სახაზინო სამსახური საპენსიო დეკლარაციის შევსების გარეშე. ვინაიდან სახაზინო სამსახური ვალდებულია მიაწოდოს საპენსიო სააგენტოს ინფორმაცია დასაქმებულების შესახებ, თითოეული სახელმწიფო დამსაქმებელი ვალდებულია საპენსიო დეკლარაციაში მოთხოვნილი ინფორმაცია დასაქმებულების შესახებ წარუდგინოს სახაზინო

სამსახურს ამ ინსტრუქციის შესაბამისად. სახელმწიფო დამსაქმებლის მიერ საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის გავლა არ გულისხმობს და არ იწვევს ამ პუნქტით განსაზღვრული წესის ცვლილებას და სახაზინო სამსახურის მიერ ვალდებულების შესრულების ჩანაცვლებას.

3. საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციისას, დამსაქმებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის იდენტიფიცირების მიზნით, დამსაქმებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი ვალდებულია, პირველ რიგში, შესაბამის ველებში შეიყვანოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემაში შესასვლელად მოთხოვნილი ინფორმაცია (მომხმარებლის სახელი და პაროლი) და ამ სისტემაში წარმატებით იდენტიფიცირების შემთხვევაში მის სარეგისტრაციო გვერდზე ავტომატურად შეივსება დამსაქმებლის საიდენტიფიკაციო კოდი, დამსაქმებლის სახელი და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. აღნიშნული ავთენტიფიკაციის პროცესის წარმატებულად გავლის შემდეგ, დამატებით, საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში შემდგომში შესასვლელად დამსაქმებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი ვალდებულია წარადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) მის მიერ შერჩეული მომხმარებლის სახელი;
- ბ) მის მიერ შერჩეული პაროლი;
- გ) მობილური ტელეფონის ნომერი;
- დ) ელექტრონული ფოსტის მისამართი.

4. საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის შედეგად დამსაქმებლის უფლებამოსილ წარმომადგენელს ექნება წვდომა საკუთარ ელექტრონულ გვერდზე და შესაბამის ელექტრონულ სამუშაო სივრცეზე, რომლის ფარგლებშიც ის ახდენს საპენსიო დეკლარაციის მომზადებას, ატვირთვას და დახურვას ამ ინსტრუქციის შესაბამისად.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 17 თებერვლის ბრძანება №002 - ვებგვერდი, 21.02.2023წ.

მუხლი 4. დასაქმებულის გაწვევრიანება დაგროვებით საპენსიო სქემაში და რეგისტრაცია საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში

1. თითოეული დასაქმებული დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწვევრიანდება დამსაქმებლის მიერ, დასაქმებულის სახელით და მის სასარგებლოდ, პირველი საპენსიო შენატანის განხორციელების საფუძველზე ან ამ ინსტრუქციის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში. სახელმწიფო დამსაქმებლის შემთხვევაში გაწვევრიანება ხდება სახაზინო სამსახურის მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანის საფუძველზე.

2. დასაქმებულის სახელით და მის სასარგებლოდ პირველი საპენსიო შენატანის განხორციელება დასრულდება დამსაქმებლის მიერ ღია საპენსიო დეკლარაციის დახურვის შედეგად. აღნიშნულ შემთხვევაში საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში იქმნება დასაქმებულის ინდივიდუალური საპენსიო ანგარიში და მასზე პირველად აისახება დასაქმებულის და, შესაბამისად, დასაქმებულის სასარგებლოდ დამსაქმებლის საპენსიო შენატანი.

3. სახელმწიფო დამსაქმებლის შემთხვევაში დასაქმებულის სახელით და ასევე მის სასარგებლოდ პირველი საპენსიო შენატანის განხორციელება დასრულდება სახაზინო

სამსახურის მიერ საპენსიო სააგენტოსთვის დასაქმებულის სასარგებლოდ, მისი და დამსაქმებლის ვალდებულის შესრულების მიზნით, საპენსიო შენატანის გადახდის და საპენსიო სააგენტოსთვის თითოეული დასაქმებულის შესახებ ამ ინსტრუქციით მოთხოვნილი ინფორმაციის წარდგენის შედეგად. აღნიშნულ შემთხვევაში საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში იქმნება დასაქმებულის ინდივიდუალური საპენსიო ანგარიში და მასზე პირველად აისახება დასაქმებულის და, შესაბამისად, დასაქმებულის სასარგებლოდ დამსაქმებლის საპენსიო შენატანის მოცულობა, დამსაქმებლის იდენტიფიცირების გარეშე.

4. ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე წვდომისთვის აუცილებელია დასაქმებულის რეგისტრაცია საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში.

5. თითოეული მონაწილის რეგისტრირებისთვის საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა აგენერირებს სისტემაში შესასვლელ მომხმარებლის სახელს (მომხმარებლის სახელი წარმოადგენს მის პირად ნომერს) და დროებით პაროლს, რომელიც მონაწილეს შეუძლია მიიღოს საპენსიო სააგენტოში ან/და უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გამოცხადების გზით ამ ინსტრუქციის 5¹ მუხლით განსაზღვრული წესით;

6. (ამოღებულია - 06.07.2023, №005);

7. საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის გასავლელად დასაქმებული უნდა შევიდეს ვებგვერდიდან შესაბამის ბმულზე, მიუთითოს მომხმარებლის სახელი და დროებითი პაროლი, შეცვალოს დროებითი პაროლი ახალი პაროლით. რეგისტრაციის გავლისას დასაქმებული ასევე ვალდებულია მიუთითოს მისი საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

7¹. გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული მომხმარებლის სახელისა და დროებითი პაროლის მეშვეობით რეგისტრაცია/ავტორიზაციისა, დასაქმებული/პენსიის მიმღები უფლებამოსილია საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია/ავტორიზაცია გაიაროს საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობის (ID ბარათის) ან ბინადრობის ელექტრონული მოწმობის მეშვეობით ან ელექტრონულ სისტემაში არსებული სხვა საშუალებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8. (ამოღებულია - 06.07.2023, №005).

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 17 თებერვლის ბრძანება №002 - ვებგვერდი, 21.02.2023წ.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 6 ივლისის ბრძანება №005 - ვებგვერდი, 07.07.2023წ.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №010 - ვებგვერდი, 28.12.2023წ.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 1 მაისის ბრძანება №013 - ვებგვერდი, 02.05.2024წ.

მუხლი 5. თვითდასაქმებულის რეგისტრაცია საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში და გაწევრიანება დაგროვებით საპენსიო სქემაში

1. თვითდასაქმებულის გაწევრიანება დაგროვებით საპენსიო სქემაში ხდება ნებაყოფლობით და შესაძლებელია 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ გამომუშავებული და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დეკლარირებული თვითდასაქმებულის შემოსავლის გათვალისწინებით.

2. თვითდასაქმებული, რომელსაც სურს გაწევრიანდეს დაგროვებით საპენსიო სქემაში, ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში, რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდიდან.

3. საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის გავლისას, თვითდასაქმებულის იდენტიფიცირების მიზნით, თვითდასაქმებული ვალდებულია, პირველ რიგში, შესაბამის ველებში შეიყვანოს შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემაში შესასვლელად მოთხოვნილი ინფორმაცია (მომხმარებლის სახელი და პაროლი). ამ სისტემაში წარმატებით იდენტიფიცირების შემთხვევაში მის სარეგისტრაციო გვერდზე ავტომატურად შეივსება თვითდასაქმებულის საიდენტიფიკაციო კოდი, თვითდასაქმებულის სახელი და თვითდასაქმებულის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

აღნიშნული ავთენტიფიკაციის პროცესის წარმატებულად გავლის შემდეგ, საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში მომავალში შესასვლელად, თვითდასაქმებული ვალდებულია დამატებით წარადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მის მიერ შერჩეული მომხმარებლის სახელი;

ბ) მის მიერ შერჩეული პაროლი;

გ) მობილური ტელეფონის ნომერი;

დ) ელექტრონული ფოსტის მისამართი.

4. საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის შედეგად თვითდასაქმებულს ექნება წვდომა საკუთარ გვერდზე და შესაბამის ელექტრონულ სამუშაო სივრცეზე, რომლის ფარგლებშიც ის ახდენს საპენსიო დეკლარაციის შევსებას, ატვირთვას და დახურვას ამ ინსტრუქციის შესაბამისად.

5. თვითდასაქმებულის მიერ პირველი საპენსიო შენატანის განხორციელება სრულდება თვითდასაქმებულის მიერ ღია საპენსიო დეკლარაციის დახურვის შედეგად, რა შემთხვევაშიც თვითდასაქმებულის საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში იქმნება ინდივიდუალური საპენსიო ანგარიში და მასზე პირველად აისახება მისი საპენსიო შენატანი.

6. თვითდასაქმებულ მონაწილეს, რომელიც კანონით დადგენილ შემთხვევაში შეაჩერებს საპენსიო შენატანების განხორციელებას, შეუძლია ნებისმიერ დროს განაახლოს საპენსიო შენატანების განხორციელება.

7. დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე თვითდასაქმებული ვალდებულია განახორციელოს საპენსიო შენატანი კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში და მოცულობით.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 17 თებერვლის ბრძანება №002 - ვებგვერდი, 21.02.2023წ.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №010 - ვებგვერდი, 28.12.2023წ.

მუხლი 5¹. ავტორიზაციის პარამეტრების მიღება/განახლება

1. მონაწილე, პენსიის მიმღები პირი, ან/და დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასული პირი პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით (შემდგომში – განმცხადებელი), უფლებამოსილია დასაქმებულის საპენსიო გვერდზე წვდომისათვის/ავტორიზაციისათვის, მათ შორის რეგისტრაციისთვის დროებითი პაროლ(ებ)ის მიღების მიზნით, მიმართოს საპენსიო სააგენტოს, საპენსიო სააგენტოს მისამართზე ან უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოცხადების გზით და ამ ინსტრუქციის შესაბამისად

წარადგინოს შესაბამისი განცხადება. საპენსიო სააგენტოს მისამართი და უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია (სახელწოდება და მისამართ(ებ)ი) მითითებულია საპენსიო სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე: www.pensions.ge.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე წარმომადგენლის მეშვეობით საპენსიო სააგენტოსთვის ან უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვისას, წარმომადგენელი ვალდებულია წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. მინდობილობის (რწმუნებულების, დავალების ხელშეკრულების) საფუძველზე წარმომადგენლობის შემთხვევაში, შესაბამისი მინდობილობა (რწმუნებულება, დავალების ხელშეკრულება) დამოწმებულ უნდა იქნას საწარმოო წესით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნით, საპენსიო სააგენტოსთვის ან უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვისას, განმცხადებლის იდენტიფიცირების მიზნით, განმცხადებელი ვალდებულია წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. ამ მუხლის მე-2 (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემოწმების და მისი წარმდგენი პირის იდენტიფიცირებისთანავე, უფლებამოსილი თანამშრომელი ელექტრონული სისტემის შესაბამის გრაფაში უთითებს შესაბამისი მონაწილის, პენსიის მიმღები პირის, ან/და დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასული პირის პირად ნომერს და დაბადების წელს.

5. უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ელექტრონულ სისტემაში შეყვანის შემდგომ, ელექტრონული სისტემა ავტომატურ რეჟიმში აგენერირებს შესაბამისი პირის დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობის სტატუსის შესახებ ინფორმაციას, რომელსაც უფლებამოსილი თანამშრომელი აცნობს განმცხადებელს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გენერირებული დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობის სტატუსის გათვალისწინებით, თუ შესაბამის პირს აქვს დასაქმებულის საპენსიო გვერდი, განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში უფლებამოსილი თანამშრომელი ელექტრონული სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფს შემდეგი სახის განცხადების გენერირებას:

ა) დასაქმებულის საპენსიო გვერდზე წვდომისათვის რეგისტრაციისთვის დროებითი პაროლ(ებ)ის მიღების თაობაზე, იმ შემთხვევაში, თუკი შესაბამის პირს ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე გავლილი არ აქვს რეგისტრაცია; ან

ბ) დასაქმებულის საპენსიო გვერდზე წვდომისათვის საჭირო პაროლის აღდგენის თაობაზე, იმ შემთხვევაში, თუკი შესაბამის პირს ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე გავლილი აქვს რეგისტრაცია.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილის შესაბამისად, შესაბამისი განცხადების გენერირების შემდგომ, უფლებამოსილი თანამშრომელი ამობეჭდვას განცხადებას და გადაცემს განმცხადებელს, გაცნობის და ხელმოწერის მიზნით.

8. ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გენერირებული სტატუსის გათვალისწინებით, თუ შესაბამის პირს არ აქვს დასაქმებულის საპენსიო გვერდი, ელექტრონული სისტემა არ იძლევა შესაძლებლობას დაგენერირდეს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული განცხადება.

9. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი განცხადება სავალდებულოდ უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) განმცხადებლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი;

ბ) განცხადების ნომერი და თარიღი;

გ) განმცხადებლის ტელეფონის ნომერი და ფაქტობრივი მისამართი;

დ) განმცხადებლის შესაბამისი მოთხოვნა, რომელშიც ასევე მითითებულ უნდა იქნეს ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომელზეც უნდა მოხდეს დროებითი პაროლ(ებ)ის ან ვერიფიკაციის ბმულის გადაგზავნა, შემდგომში დასაქმებულის საპენსიო გვერდზე წვდომის/ავტორიზაციის მიზნისათვის;

ე) განმცხადებლის ხელმოწერის გრაფა;

ვ) წარმომადგენლის მეშვეობით მომართვის შემთხვევაში განცხადებაში ასევე მითითება, მონაწილის, პენსიის მიმღები პირის ან/და დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასული პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი.

10. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ეთანხმება ამ მუხლით გათვალისწინებულ შესაბამის განცხადებას, უფლებამოსილი თანამშრომლის თანდასწრებით კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან მატერიალურად ხელს აწერს მას და გადასცემს უფლებამოსილ თანამშრომელს. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი უარს განაცხადებს განცხადების ხელმოწერაზე, უფლებამოსილი თანამშრომელი უზრუნველყოფს აღნიშნული ფაქტის ელექტრონულ სისტემაში ასახვას, შესაბამისი მიზეზის მითითებით.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ხელმოწერილი განცხადება ავტომატურად აისახება ელექტრონულ სისტემაში, ხოლო მატერიალური ფორმით ხელმოწერის შემთხვევაში, უფლებამოსილი თანამშრომელი უზრუნველყოფს ასეთი განცხადების ელექტრონულ სისტემაში ასახვას.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით, შესაბამისი განცხადების ელექტრონულ სისტემაში ასახვის შემდეგ, ელექტრონული სისტემა ავტომატურ რეჟიმში დააგენერირებს შესაბამის შეტყობინებას, რომელიც გაიგზავნება განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, კერძოდ:

ა) ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, დროებითი პაროლ(ებ)ი და My.pensions.ge-ზე რეგისტრაციის ფორმის ბმული, რომლიც, თავის მხრივ, მოიცავს თანმიმდევრულ მითითებებს განსახორციელებელი ქმედებების შესახებ;

ბ) ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, ვერიფიკაციის ბმული.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 17 თებერვლის ბრძანება №002 - ვებგვერდი, 21.02.2023წ.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 6 ივლისის ბრძანება №005 - ვებგვერდი, 07.07.2023წ.

5². ელექტრონულ სისტემაში წვდომის უზრუნველყოფა

1. საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია მონაწილეები/პენსიის მიმღებების ინფორმირების ან/და ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულთან ერთად, დასაქმებულის საპენსიო გვერდზე წვდომის ალტერნატიული საშუალებების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი მომსახურების მიღების მიზნით ხელშეკრულება/შეთანხმება/მემორანდუმი გააფორმოს მესამე პირ(ებ)თან.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის, შესაბამისი მომსახურების განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია დაამუშაოს პერსონალური მონაცემები მხოლოდ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 1 მაისის ბრძანება №013 - ვებგვერდი, 02.05.2024წ.

მუხლი 6. საპენსიო დეკლარაცია

1. საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირებულია საპენსიო დეკლარაციის ორი სახეობა: მარტივი საპენსიო დეკლარაცია და დეტალური საპენსიო დეკლარაცია.

2. თითოეული საპენსიო დეკლარაციის შევსებისას დამსაქმებელს აქვს არჩევანი, მოახდინოს საპენსიო ანგარიშგება მარტივი ან დეტალური საპენსიო დეკლარაციის გამოყენებით.

3. თითოეული საპენსიო დეკლარაციის შევსებისას თვითდასაქმებული/არასტანდარტული დასაქმებული ახდენს საპენსიო ანგარიშგებას მარტივი საპენსიო დეკლარაციის გამოყენებით.

4. მარტივი საპენსიო დეკლარაცია მოითხოვს მხოლოდ ხელფასის (დასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის შემთხვევაში) ან თვითდასაქმებულის შემოსავლის მითითებას კანონით განსაზღვრული გამონაკლისების გათვალისწინებით, შემდეგი ნიმუშის შესაბამისად:

სახელი	გვარი	პირადი ნომერი	ხელფასი/ შემოსავალი	საპენსიო შენატანი 2%+2%	ნებაყოფლობით ჩართული

სადაც:

ა) ხელფასი გულისხმობს კანონით განსაზღვრულ ხელფასს;

ბ) შემოსავალი გულისხმობს კანონით განსაზღვრულ თვითდასაქმებულის შემოსავალს;

გ) საპენსიო შენატანი გულისხმობს დამსაქმებლისა და დასაქმებულის, არასტანდარტული დასაქმებულის ან თვითდასაქმებულის მიერ კანონის შესაბამისად განსაზღვრულ საპენსიო შენატანს, რომელიც შეადგენს ხელფასის ან თვითდასაქმებულის შემოსავლის 4% (2%+2%) და უნდა განახორციელოს დამსაქმებელმა, არასტანდარტულმა დასაქმებულმა ან დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით გაწევრიანებულმა თვითდასაქმებულმა. დასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის შემთხვევაში 2% წარმოადგენს დასაქმებულის საპენსიო შენატანს, ხოლო 2% დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სასარგებლოდ და მისი სახელით განხორციელებულ შენატანს. დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით გაწევრიანებული თვითდასაქმებულის შემთხვევაში 4% (2%+2%) საპენსიო შენატანის განხორციელება ამ თვითდასაქმებულის ვალდებულებაა;

დ) დასაქმებულის დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით გაწევრიანების შემთხვევაში საპენსიო დეკლარაციაში აუცილებელია ველში, „ნებაყოფლობით ჩართული“, ჩაიწეროს „1“.

5. დეტალური საპენსიო დეკლარაცია მოითხოვს დასაქმებულის ხელფასის ამ ინსტრუქციით განსაზღვრული მდგენელი კომპონენტების განსაზღვრას და მითითებას შემდეგი ნიმუშის შესაბამისად:

№	სახელი	გვარი	პირადი ნომერი	დარიცხული ხელფასი	დამატებითი სარგებელი	არაფულადი სარგებელი	საშემოსავლო გადასახადი	სხვა დაკავებული თანხა	ხელზე ასაღები თანხა	საპენსიო შენატანი 2%+2%	ნებაყოფლობით ჩართული
---	--------	-------	------------------	----------------------	-------------------------	------------------------	---------------------------	-----------------------------	---------------------------	-------------------------------	-------------------------

სადაც:

ა) დარიცხული ხელფასი გულისხმობს კანონით განსაზღვრულ ხელფასს, გარდა დამატებითი სარგებლისა და არაფულადი სარგებლისა;

ბ) დამატებითი სარგებელი გულისხმობს დასაქმებულზე დამატებით გაცემულ სხვა ფულად სარგებელს;

გ) არაფულადი სარგებელი გულისხმობს დასაქმებულზე გაცემული არაფულადი სარგებლის ეკვივალენტს გამოსახულს თანხით;

დ) საშემოსავლო გადასახადი გულისხმობს საგადასახადო კოდექსის XI თავით განსაზღვრულ გადასახადს;

ე) სხვა დაკავებული თანხა გულისხმობს თანხას, რომელიც უკავდება დასაქმებულს იმ თანხიდან, რომელიც მას ხელზე უნდა აეღო;

ვ) ხელზე ასაღები თანხა გულისხმობს იმ თანხას, რომელსაც დასაქმებული უშუალოდ იღებს ხელზე, მას შემდეგ, რაც დარიცხული ხელფასის და დამატებითი სარგებლის ჯამურ თანხას გამოაკლდა დარიცხული ხელფასის, დამატებითი სარგებლის და არაფულადი სარგებლის ჯამური თანხიდან გამოთვლილი საპენსიო შენატანის თანხა, ასევე საშემოსავლო გადასახადი და სხვა დაკავებული თანხა;

ზ) საპენსიო შენატანი გულისხმობს დამსაქმებლისა და დასაქმებულის მიერ კანონის შესაბამისად განხორციელებულ საპენსიო შენატანს, რომელიც უნდა განახორციელოს დამსაქმებელმა. საპენსიო შენატანი შეადგენს საპენსიო შენატანის გამოსათვლელი საბაზისო თანხის 4 პროცენტს, საიდანაც დასაქმებულის შემთხვევაში 2 პროცენტი წარმოადგენს დასაქმებულის საპენსიო შენატანს, ხოლო 2 პროცენტი დამსაქმებლის შენატანს; ამ ინსტრუქციის მიზნებისთვის, საპენსიო შენატანის გამოსათვლელი საბაზისო თანხა გულისხმობს დარიცხული ხელფასის (როგორც განმარტებულია ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში), დამატებითი სარგებლის და არაფულადი სარგებლის (როგორც განმარტებულია ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში) ჯამს, რომელსაც დეტალური საპენსიო დეკლარაცია ავტომატურად ითვლის და ტოლია ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში განმარტებული ხელფასისა და რომლის საფუძველზეც ხდება საპენსიო შენატანის გამოთვლა.

6. დეტალური საპენსიო დეკლარაციის მიზანია, დამსაქმებლის სურვილის შემთხვევაში ხელი შეუწყოს და დაეხმაროს დამსაქმებელს საპენსიო შენატანის გამოსათვლელი საბაზისო თანხის დადგენაში. აღნიშნული მიზნით დეტალურ საპენსიო დეკლარაციაში ინტეგრირებული ველები ურთიერთდაკავშირებულია შემდეგი ფორმულით:

ხელზე ასაღები თანხა =

დარიცხული ხელფასი + დამატებითი სარგებელი

- $0.02 \times (\text{დარიცხული ხელფასი} + \text{დამატებითი სარგებელი} + \text{არაფულადი სარგებელი})$

- საშემოსავლო გადასახადი – სხვა დაკავებული თანხა.

აღნიშნული ფორმულა ემსახურება მექანიკური შეცდომების გამორიცხვას.

7. საპენსიო დეკლარაცია ივსება ელექტრონულად უშუალოდ საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში მოცემულ საპენსიო დეკლარაციის ფორმაში ან

ამავე სისტემაში მისი ექსელის ფაილის სახით ატვირთვის გზით (ექსელის ფაილის ფორმა შესაძლებელია ჩამოიტვირთოს ამ სისტემიდან).

8. დასაქმებულის დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით გაწვევრიანების შემთხვევაში საპენსიო დეკლარაციაში აუცილებელია ველში, „ნებაყოფლობით ჩართული“, ჩაიწეროს „1“.

9. დეტალური საპენსიო დეკლარაციის შევსების მაგალითი მოცემულია ინსტრუქციის I დანართში.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №010 - ვებგვერდი, 28.12.2023წ.

მუხლი 7. ღია, დახურული და დრაფტ საპენსიო დეკლარაცია

1. საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში მოცემულ საპენსიო დეკლარაციას გააჩნია სამი სტატუსი: დრაფტი, ღია და დახურული.

2. საპენსიო შენატანის განხორციელების მიზნით დამსაქმებელმა, თვითდასაქმებულმა ან არასტანდარტულმა დასაქმებულმა, რომელიც რეგისტრირებულია საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში, უნდა გახსნას/ჩამოიტვირთოს საპენსიო დეკლარაციის ფორმა და შეიყვანოს მასში ინფორმაცია დასაქმებულის ან თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის შესახებ, ან ატვირთოს მასში ამ ინსტრუქციის შესაბამისად შევსებული საპენსიო დეკლარაცია. მონაცემები სისტემაში იტვირთება დრაფტი დეკლარაციის სტატუსით.

3. დამსაქმებლის ან თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის მიერ დეკლარაციის სტატუსის ცვლილებისას პროგრამულად მოწმდება, დეკლარაციაში ასახული თითოეული დასაქმებული ფიზიკური პირის პირადი მონაცემები, დარიცხული თანხების ურთიერთშესაბამისობა (მხოლოდ დეტალური დეკლარაციის შემთხვევაში) და ნებაყოფლობით ჩართულობა. საპენსიო დეკლარაციაში შეცდომის დაფიქსირების შემთხვევაში შესაბამისი ველები გაწითლდება და დამსაქმებელი თუ თვითდასაქმებული/არასტანდარტული დასაქმებული ვერ მოახდენს საპენსიო დეკლარაციის სტატუსის შეცვლას იდენტიფიცირებული შეცდომის აღმოფხვრის გარეშე.

4. მას შემდეგ, რაც დასრულდება საპენსიო დეკლარაციის კორექტირება, ასეთის საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება მისთვის ღია საპენსიო დეკლარაციის სტატუსის მინიჭება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ღია საპენსიო დეკლარაციის კორექტირება.

5. ღია საპენსიო დეკლარაციის დასახურად დამსაქმებელი საპენსიო სააგენტოს ნომინალური მფლობელობის საბანკო ანგარიშზე იხდის საპენსიო შენატანს ღია საპენსიო დეკლარაციის შესაბამისად, ჯამურად ყველა დასაქმებულის სასარგებლოდ. ღია საპენსიო დეკლარაცია ექვემდებარება დახურვას შესაბამის ღილაკზე დაჭერით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელმა ან თვითდასაქმებულმა/არასტანდარტულმა დასაქმებულმა გადარიცხა საპენსიო სააგენტოს შესაბამის საბანკო ანგარიშზე საპენსიო დეკლარაციაში მითითებული საპენსიო შენატანის სრული თანხა ან მეტი.

6. საპენსიო შენატანების აკუმულირებისათვის საპენსიო სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან/და საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში დამსაქმებლის გვერდზე მოცემულია იმ ბანკების ჩამონათვალი, რომლებშიც საპენსიო სააგენტოს გახსნილი აქვს ნომინალური მფლობელობის საბანკო ანგარიშები და მოცემულია შესაბამისი ანგარიშის ნომრები. დამსაქმებელი უფლებამოსილია საპენსიო შენატანის

გადახდა განხორციელოს საპენსიო სააგენტოს ნომინალური მფლობელობის ნებისმიერ საბანკო ანგარიშზე.

7. დამსაქმებლის ან თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის მიერ საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საპენსიო დეკლარაცია დაიხურა.

8. დამსაქმებლის მიერ საპენსიო დეკლარაციის დახურვის შემთხვევაში მის მიერ ჯამურად გადახდილი საპენსიო შენატანი გადანაწილდება დასაქმებულების ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშებზე, საპენსიო დეკლარაციის შესაბამისად, საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მიერ.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 6 ივლისის ბრძანება №005 - ვებგვერდი, 07.07.2023წ.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №010 - ვებგვერდი, 28.12.2023წ.

მუხლი 8. დამსაქმებლის მიერ დასაქმებულების საპენსიო დეკლარაციაში ჩართვა

1. დამსაქმებელი ვალდებულია კანონით და ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ შემთხვევებში განხორციელოს საპენსიო შენატანი საპენსიო დეკლარაციის შევსებისა და ელექტრონული სისტემის მეშვეობით საპენსიო დეკლარაციის წარდგენის გზით.

2. საპენსიო დეკლარაციის შევსებისას დამსაქმებელი ვალდებულია წარადგინოს მოთხოვნილი პირადი ინფორმაცია თითოეული დასაქმებულის შესახებ: სახელი, გვარი და პირადი ნომერი. სახელის და გვარის შევსება სავალდებულოა ქართულად, სხვა შემთხვევაში სისტემა პირადი ინფორმაციის გადამოწმების დროს დააფიქსირებს შეცდომას და ვერ განხორციელდება საპენსიო დეკლარაციის სისტემაში ატვირთვა.

3. სახელმწიფო დამსაქმებელი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დასაქმებულებისთვის ხელფასის გადარიცხვისას მათ შესახებ ამ მუხლის მე-2 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია მიაწოდოს სახაზინო სამსახურს.

4. სახელმწიფო დამსაქმებლის თითოეულ დასაქმებულთან მიმართებაში სახაზინო სამსახური ვალდებულია საპენსიო სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია სახელფასო განაცემის შესახებ, ასევე ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული და ყველა სახელმწიფო დამსაქმებლისგან მიღებული ინფორმაცია დასაქმებულების შესახებ აგრეგირებული ფორმით, დამსაქმებლების იდენტიფიცირების გარეშე.

5. საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება საპენსიო დეკლარაციის დახურვა ამ ინსტრუქციით განსაზღვრული წესით. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, საბალანსო თანხის საპენსიო სააგენტოს ანგარიშზე ჩარიცხვა ან/და გადარიცხვა არ წარმოადგენს დამსაქმებლის, ან თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის მიერ საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების შესრულებას.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №010 - ვებგვერდი, 28.12.2023წ.

მუხლი 9. არასტანდარტული დასაქმებულის მიერ საპენსიო შენატანის განხორციელება

1. არასტანდარტული დასაქმებულებმა, რომელთა ხელფასიდან გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი არ ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაკავებას და რომლებიც კანონის თანახმად ვალდებული არიან გაწევრიანდნენ დაგროვებით საპენსიო სქემაში, საპენსიო შენატანი უნდა განხორციელონ ყოველი ხელფასის მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო

დღისა, დასაბეგრი ხელფასის 4%-ის ოდენობით, საიდანაც 2% წარმოადგენს დასაქმებულის საპენსიო შენატანს, ხოლო 2% წარმოადგენს დამსაქმებლის საპენსიო შენატანს დასაქმებულის სასარგებლოდ.

2. ამ მუხლით განსაზღვრული დასაქმებულის დამსაქმებელს ევალება ხელფასის გადახდისას დასაქმებულს აუნაზღაუროს დამსაქმებლის წილი - საპენსიო შენატანი დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტის ოდენობით.

3. არასტანდარტული დასაქმებული, არასტანდარტული დასაქმებულის საპენსიო შენატანის განხორციელების მიზნით, ელექტრონულ სისტემაში უნდა დარეგისტრირდეს და საპენსიო დეკლარაცია წარადგინოს ამ ინსტრუქციით თვითდასაქმებულისათვის დადგენილი წესის შესაბამისად, თუმცა არასტანდარტული დასაქმებულისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების და ვალდებულებების შესრულების მიზნით.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №010 - ვებგვერდი, 28.12.2023წ.

მუხლი 10. საპენსიო შენატანების განხორციელება დამსაქმებლის და თვითდასაქმებულის მიერ და საპენსიო შენატანების ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშებზე განაწილება

1. საპენსიო შენატანის განხორციელების მიზნით, დამსაქმებელი ან თვითდასაქმებული/არასტანდარტული დასაქმებული ვალდებულია საპენსიო შენატანის ოდენობის შესაბამისი თანხა ჩარიცხოს საპენსიო სააგენტოს ნომინალური მფლობელობის შესაბამის საბანკო ანგარიშზე, რომელიც ამ ინსტრუქციის დადგენილი წესით აისახება საბალანსო თანხის სახით.

2. სახელმწიფო დამსაქმებლის შემთხვევაში დასაქმებულის და დამსაქმებლის საპენსიო შენატანების ჩარიცხვა ხორცილდება სახაზინო სამსახურში, საპენსიო სააგენტოს ანგარიშზე.

3. დამსაქმებლის მიერ საპენსიო დეკლარაციის წარდგენამდე, მის მიერ ჩარიცხული საპენსიო შენატანი აისახება სისტემაში დამსაქმებლის გვერდზე, საბალანსო თანხის ნაწილში.

4. დამსაქმებლის მიერ საპენსიო დეკლარაციის წარდგენისას ჩარიცხული საპენსიო შენატანი აისახება ღია დეკლარაციების გრაფაში, რაც გულისხმობს, რომ მასში წარდგენილი დასაქმებულების ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშებზე ჯერ არ არის გადანაწილებული საპენსიო დეკლარაციაში ასახული ჯამური თანხა.

5. დამსაქმებელი ან/და თვითდასაქმებული/არასტანდარტული დასაქმებული ვალდებულია განახორციელოს ღია საპენსიო დეკლარაციის დახურვა, რისთვისაც საჭიროა საპენსიო დეკლარაციით განსაზღვრული საპენსიო შენატანების ჯამური თანხა იყოს ასახული მის საბალანსო თანხაში. თუ საბალანსო თანხაში ასახულია საპენსიო დეკლარაციით განსაზღვრული საპენსიო შენატანების ჯამური თანხის ტოლი ან მეტი თანხა, დამსაქმებელს ან/და თვითდასაქმებულს/არასტანდარტულ დასაქმებულს მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია დახუროს ღია საპენსიო დეკლარაცია შესაბამის ღილაკზე დაჭერით.

6. ღია საპენსიო დეკლარაციის დახურვის მომდევნო სამუშაო დღეს, დახურული საპენსიო დეკლარაციის საფუძველზე, დასაქმებულების ან თვითდასაქმებულების/არასტანდარტული დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშებზე ავტომატურად და შესაბამისი პროპორციით გადანაწილდება: დამსაქმებლის, დასაქმებულის ან თვითდასაქმებულის მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანები.

7. რამდენიმე ღია საპენსიო დეკლარაციის არსებობის შემთხვევაში დამსაქმებელი ან თვითდასაქმებული/არასტანდარტული დასაქმებული თავად ირჩევს დასახურ დეკლარაციას.

8. თუ დამსაქმებლის ან თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის მიერ სააგენტოს ანგარიშზე ჩარიცხული თანხა არ არის ტოლი ან მეტი საპენსიო დეკლარაციით განსაზღვრული საპენსიო შენატანების ჯამურ თანხაზე, დამსაქმებელი ან თვითდასაქმებელი/არასტანდარტული დასაქმებელი ვერ შეძლებს ღია დეკლარაციის დახურვას და, შესაბამისად, ვერ მოხდება დასაქმებულებზე ან თვითდასაქმებულზე/არასტანდარტულ დასაქმებულზე საპენსიო შენატანების განაწილება. ასეთ შემთხვევაში დამსაქმებელი ან თვითდასაქმებელი/არასტანდარტული დასაქმებელი ვალდებულია გადაამოწმოს საპენსიო დეკლარაცია და მოახდინოს თანხის დამატებით ჩარიცხვა ან ღია დეკლარაციის კორექტირება.

9. დამსაქმებლის მიერ წინამდებარე მუხლის შესაბამისად განსახორციელებელი საპენსიო შენატანები საპენსიო სააგენტოს ნომინალური მფლობელობის შესაბამის საბანკო ანგარიშზე დამსაქმებლის მაგივრად და მისი სახელით შესაძლოა შეიტანოს/გადარიცხოს ნებისმიერმა ფიზიკურმა პირმა (შემდგომში – მესამე პირი). გადარიცხვის შემთხვევაში მესამე პირმა უნდა უზრუნველყოს საგადახდო დავალების შესაბამის გრაფაში იმ დამსაქმებლის სახელწოდებისა და საიდენტიფიკაციო ნომრის მითითება, ვის მაგივრადაც ხორციელდება გადარიცხვა, ასევე, მესამე პირის პირადი ნომერი. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, წინამდებარე ინსტრუქციის მიზნებისათვის მესამე პირად ითვლება ასევე დამსაქმებლის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, თუ ის დამსაქმებლის ნაცვლად და მისივე ხარჯით განახორციელებს საპენსიო შენატანს. იმ შემთხვევაში, თუ საგადახდო დავალება არ შეიცავს ასეთ ინფორმაციას ან საპენსიო შენატანის განხორციელება მოხდა საპენსიო სააგენტოს ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე მესამე პირის მიერ შეტანის გზით, შეტანილი/გადარიცხული თანხის სისტემაში დამსაქმებლის ბალანსზე ასახვის მიზნით:

ა) მესამე პირი ვალდებულია გამოცხადდეს საპენსიო სააგენტოში ან უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და წერილობით დაადასტუროს, რომ მის მიერ თანხის შეტანა/გადარიცხვა განხორციელდა შესაბამისი დამსაქმებლის ნაცვლად და მისივე ხარჯით, წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად, საპენსიო შენატანების განხორციელების მიზნით. ამასთან, მესამე პირი ვალდებულია წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი ვერ ცხადდება საპენსიო სააგენტოში ან უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ის ვალდებულია მიმართოს საპენსიო სააგენტოს წერილობითი ფორმით და დაადასტუროს, რომ მის მიერ თანხის შეტანა/გადარიცხვა განხორციელდა შესაბამისი დამსაქმებლის მაგივრად და ხარჯით. ასეთ წერილობით მიმართვაზე მესამე პირის ხელმოწერა დადასტურებული უნდა იქნეს ნოტარიულად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. წერილობით მიმართვას თან უნდა ერთოდეს მესამე პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

10. იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი არ უზრუნველყოფს დამსაქმებლის მაგივრად და ხარჯით შეტანის/გადარიცხვის დადასტურებას ამ პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესით, საპენსიო სააგენტო ვერ უზრუნველყოფს შეტანილი/გადარიცხული თანხის შესაბამისი დამსაქმებლის საბალანსო თანხაში ასახვას.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 6 ივლისის ბრძანება №005 - ვებგვერდი, 07.07.2023წ.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №010 - ვებგვერდი, 28.12.2023წ.

მუხლი 11. სახელმწიფოს მიერ კანონის შესაბამისად განსახორციელებელი საპენსიო შენატანის ადმინისტრირება

1. ყოველ სამუშაო დღეს, განხორციელებული საპენსიო შენატანების შეჯამების საფუძველზე, საპენსიო სააგენტო გამოთვლის და დაადგენს სახელმწიფოს მიერ კანონის შესაბამისად განსახორციელებელი საპენსიო შენატანის ჯამური მოცულობის ოდენობას და წარუდგენს საგადახდო დავალებას სახელმწიფო ხაზინას.

2. (ამოღებულია - 25.12.2023, №010).

3. თანხა, რომლის ზედმეტობით გადახდა სახელმწიფო ხაზინიდან გამოიწვია დამსაქმებლის ან თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის მიერ ზედმეტად გადახდილმა საპენსიო შენატანმა, ბრუნდება მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად.

4. თუ დამსაქმებელმა ან თვითდასაქმებულმა/არასტანდარტულმა დასაქმებულმა საპენსიო შენატანი განახორციელა დანაკლისით, დამატებითი საპენსიო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში მისი სახელმწიფო ბიუჯეტიდან შევსება ხდება იმავე წესით, რა წესითაც ხდება საპენსიო შენატანის განხორციელება/გადახდა საპენსიო სააგენტოს დავალების საფუძველზე.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 6 ივლისის ბრძანება №005 - ვებგვერდი, 07.07.2023წ.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №010 - ვებგვერდი, 28.12.2023წ.

მუხლი 12. ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვა

1. წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშებზე აკუმულირებული საპენსიო შენატანების და მათზე დარიცხული სარგებლის, ხარჯის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჯამური ოდენობა შეადგენს საპენსიო ფონდს, რომლის ინვესტირება განხორციელდება „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად.

2. საპენსიო ფონდის თანხაში გამოსახული სრული მოცულობა დროის ნებისმიერ მომენტში ტოლია ამ მომენტისათვის საპენსიო სქემის ყველა მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ასახული საპენსიო აქტივების ღირებულებების ჯამისა.

3. საპენსიო ფონდში მონაწილეების მიერ ან/და მათ სასარგებლოდ პირველივე საპენსიო შენატანების განხორციელებისთანავე ფონდი დაიყოფა პირობით „ერთეულებად“, სადაც თითოეული ერთეულის საწყისი ფასი განისაზღვრა 10 (ათი) ლარით. ამ მომენტისთვის ფონდის ერთეულების სრული ოდენობა, რომელიც შეიძლება იყოს არამთელი რიცხვიც, ტოლი იქნება ფონდში აკუმულირებული სრული თანხა შეფარდებული 10-ზე. საპენსიო სქემის თითოეული მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აისახა მონაწილის კუთვნილი ფონდის ერთეულების რაოდენობა, სადაც თითოეული ერთეულის ფასი განისაზღვრა 10 ლარით, ხოლო ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშის ღირებულება განისაზღვრა თანხით, რომელიც ტოლია: 10 ლარი გამრავლებული ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული ფონდის ერთეულების რაოდენობაზე.

4. საპენსიო ფონდს ყოველდღიურად ერიცხება: სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ნამეტი შემოსავალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ხარჯი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); დანაკარგი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ნებისმიერი კანონით გათვალისწინებული შემოსავალი ან/და ამონაგები ან/და ზარალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც ჯამურად წარმოადგენს საპენსიო ფონდის ნეტ მოცულობას და ექვემდებარება სააგენტოს დირექტორის მიერ, რისკების რაოდენობრივი შეფასების და საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე, საინვესტიციო მიზნებისთვის გადაცემას. დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე ან/და პენსიის მიმღები უფლებამოსილია თავიანთი ინდივიდუალური საპენსიო გვერდის მეშვეობით გაეცნონ თავიანთ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების, მათ შორის, ასეთ საპენსიო აქტივებზე დარიცხული სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ნამეტი შემოსავლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ხარჯის (ასეთის არსებობის შემთხვევაში); დანაკარგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში); კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი შემოსავლის ან/და ამონაგების ან/და ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაციას.

5. ყოველი სამუშაო დღის ბოლოს გამოითვლება საპენსიო ფონდის ერთი ერთეულის ახალი ღირებულება, რომელიც ტოლია: საპენსიო ფონდის იმ მომენტისთვის არსებული ნეტ მოცულობა შეფარდებული საპენსიო სქემაში მონაწილეების ინდივიდუალურ ანგარიშებზე ასახული საპენსიო ფონდის ერთეულების ჯამურ რაოდენობასთან.

6. საპენსიო ფონდში არსებული მონაწილის მიერ ან/და მის სასარგებლოდ ახალი საპენსიო შენატანი თანხით ხორციელდება ამ მონაწილისთვის საპენსიო ფონდის დამატებითი ერთეულების შეძენა ერთეულის იმ მომენტისთვის არსებული ღირებულებით და ამ ახალი შეძენილი ერთეულების ამ მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ასახვა.

7. ანალოგიურად, საპენსიო სქემაში ახალი მონაწილის გაწევრიანების შემთხვევაში ამ მონაწილის მიერ ან/და მის სასარგებლოდ განხორციელებული საპენსიო შენატანით განხორციელდება საპენსიო ფონდის ერთეულების შეძენა (თანხის საპენსიო ფონდის ერთეულებში კონვერტაცია) იმ მომენტისთვის განსაზღვრული საპენსიო ფონდის ერთეულის ღირებულებით და ამ შეძენილი ერთეულების ახლად გაწევრიანებული მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ასახვა.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 6 ივლისის ბრძანება №005 - ვებგვერდი, 07.07.2023წ.

მუხლი 13. საპენსიო შენატანის შეცდომით, ნაკლებობით ან ზედმეტად გადახდა

1. თუ დამსაქმებელმა ან დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანებულმა თვითდასაქმებულმა/არასტანდარტულმა დასაქმებულმა, გაწევრიანებული დასაქმებულის ან/და თვითდასაქმებულის სახელით და სასარგებლოდ საპენსიო შენატანი გადაიხადა ზედმეტობით, ის ელექტრონულ სისტემის მეშვეობით ქმნის და საპენსიო სააგენტოს

წარუდგენს მაკორექტირებელ დეკლარაციას, რომელიც დახურვის შემდეგ ავტომატურად აისახება ელექტრონულ სისტემაში, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. სააგენტო, ცალკეული ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა დამსაქმებლის ან თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის მიერ მაკორექტირებელი დეკლარაციის წარმოდგენის სიხშირე, დასაქმებულის დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანების თარიღის ცვლილება, დასაქმებულის/პირის დაგროვებით საპენსიო სქემაში შეცდომით გაწევრიანება, დასაკორექტირებელი საპენსიო დეკლარაციების რაოდენობა, კორექტირებული საპენსიო შენატანის ოდენობა, პერიოდი მაკორექტირებელ დეკლარაციის წარმოდგენის თარიღსა და პირვანდელი საპენსიო დეკლარაციის თარიღს შორის, უფლებამოსილია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეზღუდოს მაკორექტირებელი დეკლარაციის ელექტრონულ სისტემაში ავტომატურად ასახვა/დახურვა, მანამ სანამ არ მოხდება მისი შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზასთან ან/და ელექტრონულ სისტემაში არსებულ მონაცემებთან ან/და საჭიროების შემთხვევაში სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზასთან (შემდგომში ერთობლივად ან ცალ-ცალკე - ბაზები) შედარება. ასეთი შეზღუდვის თაობაზე დამსაქმებელს/თვითდასაქმებულს/არასტანდარტულ დასაქმებულს და შესაბამის დასაქმებულს ეცნობება ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

3. დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის/პირის დაგროვებით საპენსიო სქემაში შეცდომით გაწევრიანების შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია ელექტრონული სისტემის მეშვეობით შექმნას და საპენსიო სააგენტოს წარუდგინოს მაკორექტირებელი დეკლარაცია(ები), გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომლის საფუძველზეც ხდება შეცდომით გაწევრიანებული დასაქმებულის/პირის (რომელიც შეცდომით იქნა დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანებული), საპენსიო შენატან(ებ)ის განულება და რომელშიც ასახული ინფორმაციაც ექვემდებარება საპენსიო სააგენტოს მიერ შედარებას ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

4. სააგენტოს მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მაკორექტირებელი დეკლარაციის ბაზებთან შესაბამისობის დადგენა ხორციელდება სააგენტოს მიერ შესაბამისი მაკორექტირებელი დეკლარაციის ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიღების თარიღიდან არაუმეტეს 40 (ორმოცი) სამუშაო დღის ვადაში, შესაბამისობის შედარების დღისათვის არსებული მონაცემების გათვალისწინებით. სააგენტოს მიერ ბაზებთან მაკორექტირებელი დეკლარაციის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, შესაბამისი მაკორექტირებელი დეკლარაცია დაიხურება და აისახება ელექტრონულ სისტემაში, რის თაობაზეც ელექტრონული სისტემის მეშვეობით დამატებით ეცნობება დამსაქმებელს/თვითდასაქმებულს/არასტანდარტულ დასაქმებულს და შესაბამის დასაქმებულს ან პირს, რომელიც შეცდომით იქნა დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანებული (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში).

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ბაზებთან მაკორექტირებელი დეკლარაციის შესაბამისობის შემოწმება, სააგენტო უფლებამოსილია, დამსაქმებლისაგან/თვითდასაქმებულისაგან/არასტანდარტული დასაქმებულისაგან ელექტრონული სისტემის მეშვეობით მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა. ასეთი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადა აითვლება დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის მიერ ასეთი ინფორმაციის/დოკუმენტაციის სააგენტოსათვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით

სრულად წარდგენის თარიღიდან. ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია სააგენტოსათვის წარდგენილ უნდა იქნას სააგენტოს მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია:

ა) განუხილველად დატოვოს და არ დახუროს/ასახოს ელექტრონულ სისტემაში დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის მიერ წარმოდგენილი მაკორექტირებელი დეკლარაცია, თუ სააგენტოს მიერ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის მიერ არ იქნა წარდგენილი ან არასრულად იქნა წარდგენილი ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ ვადაში;

ბ) არ დააკმაყოფილოს და არ დახუროს/ასახოს ელექტრონულ სისტემაში დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის მიერ წარმოდგენილი მაკორექტირებელი დეკლარაცია, თუ შესაბამისი მაკორექტირებელი დეკლარაციის და სააგენტოს მიერ დამატებით მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში) ბაზებთან შესაბამისობა ვერ იქნა დადგენილი.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სააგენტოს პასუხი, შესაბამისი მიზეზის მითითებით ეცნობება დამსაქმებელს, თვითდასაქმებულს/არასტანდარტულ დასაქმებულს და შესაბამის დასაქმებულს/პირს, რომელიც შეცდომით იქნა დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანებული (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში), ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

8. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მაკორექტირებელი დეკლარაციის ელექტრონულ სისტემაში ასახვისას/დახურვისას, უქმდება დამსაქმებლის მიერ შესაბამისი საპენსიო დეკლარაციის წარმოდგენის თარიღით დასაქმებულის/პირის (რომელიც შეცდომით იქნა გაწევრიანებული დაგროვებით საპენსიო სქემაში) დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანების ფაქტი, ხოლო დასაქმებული დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანებულად ჩაითვლება ნებისმიერი დამსაქმებლის მიერ მისი სახელითა და მის სასარგებლოდ აღნიშნული თარიღის შემდგომ პირველივე საპენსიო შენატანის განხორციელების თარიღიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

9. იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებლის მიერ შეცდომით მოხდა ისეთი დასაქმებულის დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანება, ვინც კანონის საფუძველზე უფლებამოსილია ნებაყოფლობით გაწევრიანდეს დაგროვებით საპენსიო სქემაში, დამსაქმებული ვალდებულია მოითხოვოს შეცდომით გაწევრიანებული დასაქმებულის დაგროვებით საპენსიო სქემის მონაწილის სტატუსის გაუქმება, რისთვისაც ელექტრონულ სისტემის მეშვეობით სააგენტოს უნდა წარუდგინოს:

ა) დამსაქმებლის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის განცხადება, რომლითაც დასტურდება, რომ დასაქმებულს არ მიუმართავს დამსაქმებლისათვის, კანონის თანახმად დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით გაწევრიანების თაობაზე;

ბ) შეცდომით გაწევრიანებული დასაქმებულის წერილობითი განცხადება მასზე, რომ მას არ მიუმართავს განცხადებით დამსაქმებლისათვის დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით გაწევრიანების მოთხოვნით;

გ) შეცდომით გაწევრიანებული დასაქმებულის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუკი დამსაქმებლის მიერ არასრულად ან არასწორადაა წარმოდგენილი დოკუმენტები, სააგენტო უფლებამოსილია დამსაქმებელს განუსაზღვროს დამატებით 5 (ხუთი) სამუშაო დღე არსებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, სააგენტო:

ა) განუხილველად დატოვებს დამსაქმებლის/დასაქმებულის მოთხოვნას, თუ ხარვეზის აღმოსაფხვრელად ამ პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში დამსაქმებლის მიერ არასრულად ან არასწორად იქნა წარმოდგენილი ამ მუხლის მე-9 პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტაცია;

ბ) არ დააკმაყოფილებს დამსაქმებლის/დასაქმებულის მოთხოვნას, თუ ამ მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე მოთხოვნა წარმოდგენილი არ არის იმ დამსაქმებლის მიერ, რომელმაც დასაქმებული გააწევრიანა დაგროვებით საპენსიო სქემაში.

11. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევასთან დაკავშირებით, მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის სრულად მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, სააგენტოს გადაწყვეტილება დამსაქმებელს და დასაქმებულს ეცნობება ელექტრონული სისტემის მეშვეობით. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სააგენტო უფლებამოსილია ასეთ გადაწყვეტილებაში არ მიუთითოს ის ფაქტობრივი გარემოებები ან/და მიზეზები, რაც გახდა გადაწყვეტილების საფუძველი.

12. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების ელექტრონულ სისტემაში ასახვისას, უქმდება დაგროვებით საპენსიო სქემაში დასაქმებულის გაწევრიანების ფაქტი, შესაბამისი დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სახელითა და მის სასარგებლოდ პირველი საპენსიო შენატანის შეცდომით განხორციელების თარიღიდან.

13. ამ მუხლის შესაბამისად, დახურული მაკორექტირებელი დეკლარაციის საფუძველზე ზედმეტად გადახდილი საპენსიო შენატანი და მასზე დარიცხული სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაბრუნდება დამსაქმებლის ან თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, საბალანსო თანხის სახით, მაკორექტირებელი დეკლარაციის დახურვიდან და ელექტრონულ სისტემაში ასახვის დღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კი ზედმეტად გადახდილი საპენსიო შენატანი და მასზე დარიცხული სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაბრუნდება დამსაქმებლის იმ საბანკო ანგარიშზე, რომლიდანაც განხორციელდა საპენსიო შენატანი ან დამსაქმებლის მიერ სააგენტოსათვის წერილობით წარდგენილ მის სხვა საბანკო ანგარიშზე, სააგენტოს მიერ დამსაქმებლის შესაბამისი მოთხოვნის დაკმაყოფილებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. სახელმწიფო ხაზინიდან შესაბამისი საპენსიო შენატანის არსებობის შემთხვევაში, მაკორექტირებელი დეკლარაციის დახურვისა და ელექტრონულ სისტემაში ასახვის დღიდან ან/და სააგენტოს სათანადო გადაწყვეტილების ელექტრონულ სისტემაში ასახვის დღიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, სააგენტო სახაზინო ანგარიშზე დააბრუნებს სახელმწიფოს მიერ თვითდასაქმებულის/დასაქმებულის/პირის (რომელიც შეცდომით იქნა გაწევრიანებული დაგროვებით საპენსიო სქემაში) სასარგებლოდ განხორციელებული საპენსიო შენატანის შესაბამის წილს, შესაბამისი პროპორციით. ასეთ საპენსიო შენატანზე დარიცხულ სარგებელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სააგენტო გადარიცხავს ბიუჯეტის ერთიან სახაზინო ანგარიშზე.

14. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი ან თვითდასაქმებული/არასტანდარტული დასაქმებული დააკორექტირებს საპენსიო შენატანს,

რომელიც უკვე მონაწილეობს სააგენტოს საინვესტიციო პორტფელში, ზედმეტად გადახდილი საპენსიო შენატანის დაბრუნება მოხდება შემდეგი რიგითობით:

ა) სახელმწიფო ხაზინაში დაბრუნდება სახელმწიფოს მიერ შესაბამისი თვითდასაქმებულის/დასაქმებულის/პირის (რომელიც შეცდომით იქნა გაწევრიანებული დაგროვებით საპენსიო სქემაში) სასარგებლოდ ზედმეტად განხორციელებული საპენსიო შენატანი მასზე დარიცხულ სარგებელთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) დამსაქმებელს ან თვითდასაქმებულს/არასტანდარტულ დასაქმებულს დაუბრუნდება ზედმეტად გადახდილი თანხიდან ის თანხა, რომელიც ტოლია შესაბამისი დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის მიერ შეცდომით განხორციელებული შესაბამისი საპენსიო შენატანის საფუძველზე თვითდასაქმებულის/დასაქმებულის/პირის (რომელიც შეცდომით იქნა გაწევრიანებული დაგროვებით საპენსიო სქემაში) ინდივიდუალურ ანგარიშზე ასახულ შესაბამის საპენსიო აქტივების ღირებულებას დაკლებული სახელმწიფო ხაზინისთვის დაბრუნებული თანხა.

15. თუ დამსაქმებლისათვის/თვითდასაქმებულისათვის/არასტანდარტული დასაქმებულისათვის დასაბრუნებელი ზედმეტად გადახდილი თანხის ის ნაწილი, რომელიც ასახული იყო შესაბამისი დასაქმებლის/პირის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, არ არის საკმარისი ამ მუხლის მე-14 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესასრულებლად, დამსაქმებელი/თვითდასაქმებული/არასტანდარტული დასაქმებული ვალდებულია შეავსოს აღნიშნული დანაკლისი სააგენტოს ნომინალური მფლობელობის საბანკო ანგარიშზე შესაბამისი სხვაობის გადარიცხვის გზით, ხოლო თუ იგივე შენატანი არ არის საკმარისი მხოლოდ ამ მუხლის მე-14 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესასრულებლად, სააგენტო არ არის ვალდებული შეავსოს ასეთი დანაკლისი.

16. სააგენტოს მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მაკორექტირებელი დეკლარაციის დახურვის და ელექტრონულ სისტემაში ასახვის, ასევე ამ მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე სააგენტოს მიერ დამსაქმებლის/დასაქმებულის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს დაუბრუნოს დასაქმებულის სახელით და ხარჯით განხორციელებული საპენსიო შენატანი (2%) და ასეთ საპენსიო შენატანზე დარიცხული სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დაბეგვრით, სააგენტოს მიერ შესაბამისი მაკორექტირებელი დეკლარაციის დახურვიდან და ელექტრონულ სისტემაში ასახვიდან ან სააგენტოს სათანადო გადაწყვეტილების ელექტრონულ სისტემაში ასახვიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

17. იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელს ან თვითდასაქმებულს/არასტანდარტულ დასაქმებულს სურს საბალანსო თანხის სახით ასახული თანხის მის საბანკო ანგარიშზე დაბრუნება, დამსაქმებელი ან თვითდასაქმებული/არასტანდარტული დასაქმებული ვალდებულია მიმართოს სააგენტოს ელექტრონული სისტემის მეშვეობით და მოითხოვოს აღნიშნული თანხის ან მისი ნაწილის დაბრუნება მის მიერ ელექტრონულ სისტემაში არჩეულ საბანკო ანგარიშზე, რომლიდანაც მოხდა საპენსიო შენატანის გადახდა ან მის სხვა საბანკო ანგარიშზე, რა შემთხვევაშიც უნდა წარადგინოს შესაბამისი დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის საბანკო რეკვიზიტები, რომელშიც მოცემული იქნება ბანკის დასახელება, ბანკის კოდი, დამსაქმებლის / თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის საბანკო ანგარიშის ნომერი.

18. ამ მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია ელექტრონული სისტემის მეშვეობით მოთხოვნა წარუდგინოს და განუსაზღვროს 5 (ხუთი) სამუშაო დღიანი ვადა დამსაქმებელს/თვითდასაქმებულს/არასტანდარტულ დასაქმებულს დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენასთან დაკავშირებით. მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის სრულად მიღებიდან 40 (ორმოცი) სამუშაო დღის ვადაში სააგენტო განიხილავს და საჭიროებისა და შესაძლებლობის შემთხვევაში დამატებით განახორციელებს შედარებას ბაზებთან.

დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის ბაზებთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის მიერ ამ მუხლის მე-17 პუნქტით მოთხოვნილი თანხა სააგენტოს მიერ გადაირიცხება დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებულ საბანკო ანგარიშზე ან დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის მიერ დამატებით ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოდგენილ მის სხვა საბანკო ანგარიშზე, სააგენტოს მიერ შესაბამისობის დადგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, რაც ეცნობება დამსაქმებელს/თვითდასაქმებულს/არასტანდარტულ დასაქმებულს ელექტრონული სისტემის მეშვეობით. სააგენტოს უარი, დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის მიერ ამ მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, შესაბამისი მიზეზის მითითებით დამსაქმებელს/თვითდასაქმებულს/არასტანდარტულ დასაქმებულს ეცნობება ასევე ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

19. დამსაქმებლის ან თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის მიერ დასაქმებულის/ თვითდასაქმებულის სახელითა და მის სასარგებლოდ საპენსიო შენატანის ნაკლებობით გადახდის შემთხვევაში, ის ვალდებულია სააგენტოს ნომინალური მფლობელობის საბანკო ანგარიშზე განახორციელოს შესაბამისი თანხის გადახდა, რაც აისახება მისი საბალანსო თანხის სახით და ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარადგინოს დამატებითი საპენსიო დეკლარაცია, სადაც უნდა მიეთითოს იმ დასაქმებულის ხელფასის ან თვითდასაქმებულის შემოსავლის გადახდის თარიღი, რომლისთვისაც ხდება დამატებითი საპენსიო შენატანის განხორციელება.

20. ამ მუხლით განსაზღვრული წესები და პროცედურები ვრცელდება სახელმწიფო დამსაქმებელზე, სახელმწიფო დამსაქმებლის მიერ მისი დასაქმებულის სახელითა და სასარგებლოდ განხორციელებულ/განსახორციელებელ საპენსიო შენატანზე, იმ განსხვავებით, რომ:

ა) ამ მუხლით გათვალისწინებული მაკორექტირებელი დეკლარაციების სახელმწიფო დამსაქმებლის მიერ სააგენტოსათვის წარდგენა ხორციელდება არა ელექტრონული სისტემის, არამედ სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის მეშვეობით;

ბ) სააგენტოსა და სახელმწიფო დამსაქმებელს შორის ამ მუხლით გათვალისწინებული კომუნიკაცია განხორციელდება სააგენტოსა და სახაზინო სამსახურს შორის არსებული ელექტრონული სერვისის მეშვეობით ან წერილობითი ფორმით;

გ) სააგენტოს მიერ სახელმწიფო დამსაქმებლისაგან ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოთხოვნა და სააგენტოსათვის

ასეთი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარდგენა განხორციელდება წერილობითი ფორმით ან სააგენტოსა და სახაზინო სამსახურს შორის არსებული ელექტრონული სერვისის მეშვეობით;

დ) სახელმწიფო დამსაქმებელთა მიმართებაში ამ მუხლის მე-13 პუნქტი და მე-14 პუნქტი არ მოქმედებს;

ე) სახელმწიფო დამსაქმებელთა მიმართებაში ამ მუხლის მე-17 პუნქტი და მე-18 პუნქტი არ მოქმედებს;

ვ) ამ მუხლის შესაბამისად, მაკორექტირებელი დეკლარაციის დახურვიდან და ელექტრონულ სისტემაში ასახვის დღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში:

ვ.ა) დახურული მაკორექტირებელი დეკლარაციის საფუძველზე დასაქმებულის სახელით და ხარჯით ზედმეტად გადახდილი საპენსიო შენატანი, სააგენტოს მიერ დაბრუნდება სახელმწიფო დამსაქმებლის სახაზინო ანგარიშზე, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის მეშვეობით;

ვ.ბ) სახელმწიფო დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სასარგებლოდ ზედმეტად გადახდილი საპენსიო შენატანი დაბრუნდება სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე;

ვ.გ) სახელმწიფო დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სახელით და სასარგებლოდ ზედმეტად გადახდილ საპენსიო შენატანებზე დარიცხული სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადარიცხება სახელმწიფო ბიუჯეტის ერთიან სახაზინო ანგარიშზე.

ზ) ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ სახელმწიფო დამსაქმებლის შესაბამისი მოთხოვნის დაკმაყოფილებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში:

ზ.ა) დასაქმებულის სახელით და ხარჯით ზედმეტად გადახდილი საპენსიო შენატანი დაბრუნდება სახელმწიფო დამსაქმებლის სახაზინო ანგარიშზე, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის მეშვეობით;

ზ.ბ) დამსაქმებლის სახელით და ხარჯით ზედმეტად გადახდილ საპენსიო შენატანზე დარიცხული სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაბრუნდება დასაქმებულის საბანკო ანგარიშზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დაბეგვრით, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის მეშვეობით;

ზ.გ) სახელმწიფო დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სასარგებლოდ ზედმეტად გადახდილი საპენსიო შენატანი დაბრუნდება სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე;

ზ.დ) სახელმწიფო დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სასარგებლოდ ზედმეტად გადახდილ საპენსიო შენატანზე დარიცხული სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადარიცხება სახელმწიფო ბიუჯეტის ერთიან სახაზინო ანგარიშზე.

თ) სახელმწიფო ხაზინიდან შესაბამისი საპენსიო შენატანის არსებობის შემთხვევაში, მაკორექტირებელი დეკლარაციის დახურვისა და ელექტრონულ სისტემაში ასახვის დღიდან ან/და სააგენტოს სათანადო გადაწყვეტილების არსებობის დღიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, სააგენტო სახაზინო ანგარიშზე დააბრუნებს სახელმწიფოს მიერ დასაქმებულის/პირის (რომელიც შეცდომით იქნა გაწვევრიანებული დაგროვებით საპენსიო სქემაში) სასარგებლოდ განხორციელებული საპენსიო შენატანის შესაბამისი წილს, შესაბამისი პროპორციით. ასეთ საპენსიო შენატანზე დარიცხულ სარგებელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სააგენტო გადარიცხავს ბიუჯეტის ერთიან სახაზინო ანგარიშზე;

ი) ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო დამსაქმებელი დააკორექტირებს საპენსიო შენატანს, რომელიც უკვე მონაწილეობს სააგენტოს საინვესტიციო პორტფელში, ზედმეტად გადახდილი საპენსიო შენატანის დაბრუნება მოხდება შემდეგი რიგითობით:

ი.ა) სახელმწიფო ხაზინაში დაბრუნდება სახელმწიფოს მიერ შესაბამისი დასაქმებულის/პირის (რომელიც შეცდომით იქნა გაწვევრიანებული დაგროვებით საპენსიო სქემაში) სასარგებლოდ ზედმეტად განხორციელებული საპენსიო შენატანი მასზე დარიცხულ სარგებელთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ი.ბ) სახელმწიფო დამსაქმებელს დაუბრუნდება ზედმეტად გადახდილი თანხიდან ის თანხა, რომელიც ტოლია შესაბამისი სახელმწიფო დამსაქმებლის მიერ შეცდომით განხორციელებული შესაბამისი საპენსიო შენატანის საფუძველზე დასაქმებულის/პირის (რომელიც შეცდომით იქნა გაწვევრიანებული დაგროვებით საპენსიო სქემაში) ინდივიდუალურ ანგარიშზე ასახული შესაბამისი საპენსიო აქტივების ღირებულებას დაკლებული სახელმწიფო ხაზინისთვის დაბრუნებული თანხა.

21. დამსაქმებლის, სახელმწიფო დამსაქმებლის, თვითდასაქმებულის, არასტანდარტული დასაქმებულის მიერ ელექტრონული სისტემის ან სააგენტოსა და სახაზინო სამსახურს შორის არსებული ელექტრონული სერვისის მეშვეობით ან წერილობით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტის/ინფორმაციის ნამდვილობაზე, უტყუარობასა და სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამსაქმებელს/სახელმწიფო დამსაქმებელს/ თვითდასაქმებულს/არასტანდარტულ დასაქმებულს.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №002/02 - ვებგვერდი, 23.03.2021წ.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 17 თებერვლის ბრძანება №002 - ვებგვერდი, 21.02.2023წ.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 6 ივლისის ბრძანება №005 - ვებგვერდი, 07.07.2023წ.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №010 - ვებგვერდი, 28.12.2023წ.

მუხლი 13¹. (ამოღებულია)

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 2 თებერვლის ბრძანება №002/01 - ვებგვერდი, 03.02.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 20 მაისის ბრძანება №002/03 - ვებგვერდი, 23.05.2022 წ.

მუხლი 14. საპენსიო შენატანების შედარება საგადასახადო დეკლარაციებთან

1. საპენსიო სააგენტო მოახდენს საპენსიო დეკლარაციების შედარებას შესაბამის საგადასახადო დეკლარაციებთან.

2. ისეთი დამსაქმებლის ან თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის საგადასახადო დეკლარაციის აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც მიუთითებს სავალდებულო საპენსიო შენატან(ებ)ის გადაუხდელობას, საპენსიო სააგენტო შესაბამის ინფორმაციას ელექტრონული ფორმით უგზავნის დამსაქმებელს, მონაწილეს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №010 - ვებგვერდი, 28.12.2023წ.

მუხლი 15. პერსონალური მონაცემების დამუშავება

1. საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული მიზნებისათვის დაამუშავოს მონაწილის, დაგროვებით საპენსიო სქემაში შეცდომით გაწევრიანებული პირის, პენსიის მიმღების, გარდაცვლილი მონაწილის, წარმომადგენლის, დამსაქმებლის, თვითდასაქმებულის, არასტანდარტული დასაქმებულის და სხვა დაინტერესებული პირის პერსონალური მონაცემები, მათ შორის, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და მესამე პირების მეშვეობით.

2. კანონისა და ამ ინსტრუქციის შესაბამისად დაგროვებითი საპენსიო სქემის ადმინისტრირებისა და მართვის მიზნით, ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემული პირების პერსონალური მონაცემები ელექტრონულ სისტემაში ინახება განუსაზღვრელი ვადით.

3. დაგროვებით საპენსიო სქემაში შეცდომით გაწევრიანებული პირის მონაწილის სტატუსის გაუქმების მიუხედავად, პირს უნარჩუნდება დასაქმებულის საპენსიო გვერდი.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 17 თებერვლის ბრძანება №002 - ვებგვერდი, 21.02.2023წ.

სსიპ - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №010 - ვებგვერდი, 28.12.2023წ.

დანართი I

დეტალური საპენსიო დეკლარაციის შევსების მაგალითი:

მოცემულობა: დასაქმებულის ხელფასი არის 1,000 ლარი. დამსაქმებელი დამატებით სარგებლად აძლევს დარიცხულ 100 ლარს საწვავისთვის და ასევე უფინანსებს ტრენინგს 100 ლარის ოდენობით (არაფულადი სარგებელი). ასევე დასაქმებულმა ბუღალტერს მისცა დავალება, მისი ხელფასიდან ყოველთვიურად ავტომატურად დააკავოს თანხა 50 ლარის ოდენობით (სხვა დაკავებული თანხა) და გადარიცხოს სადაზღვევო კომპანიაში.

ზემოაღნიშნული მაგალითის საფუძველზე, საპენსიო შენატანის გამოსათვლელი საბაზისო თანხა დადგინდება შემდეგნაირად: 1000 ლარი (ხელფასი) + 100 ლარი (დამატებითი სარგებელი) + 100 ლარი (არაფულადი სარგებელი) = 1200 ლარი. დასაქმებულის საპენსიო შენატანი წარმოადგენს 1200 ლარის 2 პროცენტს, ანუ 24 ლარს. დამსაქმებლის საპენსიო შენატანი დასაქმებულის სასარგებლოდ შეადგენს 24 ლარს. სახელმწიფოს საპენსიო შენატანი დასაქმებულის სასარგებლოდ შეადგენს ასევე 24 ლარს. ჯამში, დასაქმებულის საპენსიო ანგარიშზე განთავსდება 72 ლარი.